გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 103-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ცვლილება, საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების ცვლილება, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი გადასახდელების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) სულ იზრდება 59 650,0 ათასი ლარით და 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) განისაზღვრა 708 750,0 ათასი ლარით.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 2024 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 40 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 596 100,0 ათასი ლარით.

საშემოსავლო გადასახადი ფაქტიური და მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით 2024 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება **40 000,0 ათასი ლარით** და წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **575 000,0 ათას ლარს.**

არაფინანსური აქტივების კლება იზრდება 19 650,0 ათასი ლარით და შეადგენს **112 650,0 ათასი ლარი, კერძოდ, იზრდება არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები 19 650,0 ათასი ლარით.**

მცირდება ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) **21 503,5 ათასი ლარით და წლიური მოცულობა განისაზღვრა 55 950,2 ათასი ლარით.**

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება ჯამში 38 146,5 ათასი ლარით და 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 764 700,2 ათასი ლარის ოდენობით.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილება გამოწვეულია ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი ახალი და მოქმედი პროექტების მოცულობის ცვლილებით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე დამატებით სხვადასხვა პროექტებზე ფინანსური დახმარების მოცულობის ცვლილების, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და სხვადასხვა გარემოებებით.

კერძოდ, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცალკეული გადასახდელების მოცულობა მცირდება 24 745,9 ათასი ლარით :

კერძოდ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 41,5 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 16 257,6 ათასი ლარით (მათ შორის: აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება - 1 790,0 ათასი ლარით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა - 2 906,5 ათასი ლარით, ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა - 2 385,6 ათასი ლარით, ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - 800,0 ათასი ლარით, გზების რეაბილიტაცია - 8 366,1 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 5 008,0 ათასი ლარით (მათ შორის: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1 200,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტი - 145,0 ათასი ლარით, კონკურსები და ოლიმპიადები - 143,0 ათასი ლარით, უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 170,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი - 200,0 ათასი ლარით, პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება - 220,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 180,0 ათასი ლარით, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება - 650,0 ათასი ლარით, სსიპ აჭარის მუზეუმი - 280,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 1 220,0 ათასი ლარით, არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება - 195,0 ათასი ლარით, ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები - 214,0 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 723,6 ათასი ლარით (მათ შორის: დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა - 661,6 ათასი ლარი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 1 209,2 ათასი ლარით (მათ შორის: აგროსასურსათო სექტორის პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 262,4 ათასი ლარით, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის პროგრამები - 320,4 ათასი ლარით, პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები - 465,0 ათასი ლარით);

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 1 506,0 ათასი ლარი (მათ შორის: შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია" – 700,0 ათასი ლარი, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 806,0 ათასი ლარი).

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 62 892,4 ათასი ლარით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 41,5 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 250,0 ათასი ლარით (არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა - 250,0 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 5 005,1 ათასი ლარით (მათ შორის:

- 140,0 ათასი ლარით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა:
- 130,0 ათასი ლარით - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება:
- 184,6 ათასი ლარით - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა;
- 3 744,0 ათასი ლარით - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- 613,9 ათასი ლარით - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 7 008,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 320,5 ათასი ლარით - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- 410,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება;
- 2 500,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- 300,0 ათასი ლარით - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- 185,0 ათასი ლარით - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტი;

- 105,5 ათასი ლარით - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა;
- 173,0 ათასი ლარით - კონკურსები და ოლიმპიადები;
- 300,0 ათასი ლარით - სტუდენტთა დახმარება;
- 100,0 ათასი ლარით - სწავლა საზღვარგარეთ;
- 220,0 ათასი ლარით - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებები ორგანიზება;
- 247,5 ათასი ლარით - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- 240,0 ათასი ლარით - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- 100,0 ათასი ლარით - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება;
- 150,0 ათასი ლარით - ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა;
- 560,0 ათასი ლარით - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- 100,0 ათასი ლარით - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა სტიპენდიები;
- 245,0 ათასი ლარით - არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება;
- 164,0 ათასი ლარით - ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 10 723,6 ათასი ლარით (მათ შორის:

- 1 000,0 ათასი ლარით - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- 3 000,0 ათასი ლარით - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 264,0 ათასი ლარით - სახსრების ენდოპროთეზირება;
- 1 000,0 ათასი ლარით - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
- 402,0 ათასი ლარით - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია;
- 100,0 ათასი ლარით - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- 485,7 ათასი ლარით - სოციალური პროგრამები;
- 2 000,0 ათასი ლარით - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- 2 088,0 ათასი ლარით - ემატება ახალი ქვეპროგრამა „სოცილაურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება“;
- 244,0 ათასი ლარით - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 1 209,2 ათასი ლარით (მათ შორის:

- 927,9 ათასი ლარით - ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;
- 218,3 ათასი ლარით - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 38 655,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 35 087,5 ათასი ლარით - ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება;
- 244,5 ათასი ლარით - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება;
- 2 000,0 ათასი ლარით - სარეზერვო ფონდი;
- 1 123,0 ათასი ლარით - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები;
- 200,0 ათასი ლარით - კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხის დაბრუნება.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონის პროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი ასახავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.